



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაშტიკიშვიტ”

ადგილობრივი თვითმმართველი
ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

“ 17 ” “ 01 ” 2019 წელი

N 15/36

ევგ: N:1

სოხის მუნიციპალიტეტის
2016-2017 წლების ბიუჯეტებით
გათვალისწინებული პროგრამების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები	4
შესავალი	7
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	7
აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
აუდიტის საგანი	7
აუდიტის მასშტაბი	8
აუდიტის კრიტერიუმები	8
აუდიტის მიზანი	9
აუდიტის მეთოდოლოგია	9
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ.....	9
აუდიტის მიგნებები.....	12
მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები	12
სოფელ საჯიჯაოს ხიდების რეაბილიტაციის პრობლემები.....	12
ხარვეზებით განხორციელებული კეთილმოწყობის სამუშაოები.....	17
ხარვეზები ფინანსური რესურსების ხარჯვაში.....	38
საქონელი და მომსახურება.....	39
შტატგარეშე მოსამსახურეების დაქირავებისას გამოვლენილი კანონშეუსაბამოები	39
საკრებულოს წევრებზე დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები.....	40
სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ხარვეზები.....	42
ინვენტარიზაცია	43
წინა აუდიტის დროს გამოვლენილი დარღვევები.....	43
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	44

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

მუნიციპალიტეტი - ხობის მუნიციპალიტეტი

მერია - ხობის მუნიციპალიტეტის მერია

საკრებულო - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ხოზის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

მუნიციპალიტეტმა სწორად ვერ დაგეგმა და განახორციელა დაზიანებული ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები, არ არის მიღწეული შესყიდვით დაგეგმილი შედეგი, რაც პრობლემას უქმნის მოსახლეობას.

მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდების ვადები გაზარდა სუბიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით, რის გამოც მიმწოდებლებზე არ არის გავრცელებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

მუნიციპალიტეტმა ზოგიერთ შემთხვევაში ჩაიბარა ისეთი ინფრასტრუქტურული ობიექტები, რომელთა ხარისხის სათანადო საექსპერტო დადასტურება არ მომხდარა.

შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში დაშვებული ნაკლოვანებების შედეგად, მუნიციპალიტეტში 2016-2017 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი დაზიანებულია, რითაც სრულად ვერ იქნა მიღწეული პროგრამით გათვალისწინებული მიზნები, მისი ექსპლუატაციის მთელ პერიოდში.

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მიმწოდებლებზე დარიცხული საჯარიმო სანქციების ბიუჯეტში მობილიზება.

მუნიციპალიტეტი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის იყენებდა წინასწარი 100%-იანი ანგარიშსწორების არასწორ პრაქტიკას.

მუნიციპალიტეტმა შტატგარეშე მოსამსახურეები დაიქირავა მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.

მუნიციპალიტეტმა განმეორებით დაუშვა ან არ გაატარა საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები აუდიტის წინა ანგარიშში ასახული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია №1: მუნიციპალიტეტის მერიამ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ცვლილება არ განახორციელოს დაუსაბუთებელი გარემოებებით და გაითვალისწინოს მხოლოდ ობიექტური და ფორსმაჟორული საფუძვლების არსებობა. ყველა დანარჩენ

შემთხვევაში, ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის, გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს გამოუყენებელი ობიექტების ამოქმედება და ფუნქციური დატვირთვა. შედეგად, დროულად მიიღება ის პროდუქტი, რომელიც დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია №2: მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და განახორციელოს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. რეგულარულად აწარმოოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო ღონისძიებები, არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს ხარვეზებით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ყველა ფაქტი, გამოავლინოს გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები იმ პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებმაც დაუშვეს და გაიმეორეს აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევები.

რეკომენდაცია №3: მუნიციპალიტეტის მერიამ ხელშეკრულების პირობები განსაზღვროს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესი. მათ შორის, გამოიყენოს საჯარიმო სანქციების ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების პრევენციას. ამასთანავე, ჩაატაროს გადაუხდელი ჯარიმების ინვენტარიზაცია და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები კუთვნილი თანხების მისაღებად. მუნიციპალიტეტმა მომავალში არ დაუშვას არაკეთილსინდისიერ მიმწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმება და საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამასთანავე, გამოავლინოს გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები იმ პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებმაც დაუშვეს და გაიმეორეს აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევები. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას და მიმწოდებლების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას.

რეკომენდაცია №4: ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტმა საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები მიმართოს პროექტების განსახორციელებლად და საავანსო ანგარიშსწორება

გამოიყენოს მხოლოდ დასაბუთებული საჭიროებისას. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას თავისუფალი ნაშთის უკონტროლო დაგროვება და თანხები მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

რეკომენდაცია №5: მუნიციპალიტეტმა მიზანშეწონილია გაატაროს ღონისძიებები ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის. ამასთანავე, შრომითი ხელშეკრულებები გააფორმოს მხოლოდ დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად, რაც კონკრეტულად იქნება დადგენილი ხელშეკრულების პირობებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაციას და საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვას.

რეკომენდაცია №6: მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არათანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია №7: მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოადგინოს ღონისძიებათა გეგმა მუნიციპალიტეტის აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის. გონივრულ ვადაში ასევე წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შესახებ. მუნიციპალიტეტმა გაატაროს სათანადო ღონისძიებები იმ პასუხისმგებელ პირთა მიმართ, რომელთაც ევალებოდათ აღნიშნულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება და განმეორებით დაუშვეს ან არ გაატარეს საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები აუდიტის წინა ანგარიშებში ასახული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

შესავალი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხობის მუნიციპალიტეტის (შემდგომში მუნიციპალიტეტი) ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ხობის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. პროგრამების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში – 25,371.1 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები¹

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

¹ 2016-2017 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით.

-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
-)/ სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა;
-)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
-)/ მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზებისა და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი) და სხვ.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

ხობის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 22 ადმინისტრაციულ ერთეულს და მოიცავს 57 სოფელს და 1 ქალაქს². თვითმმართველი ერთეულის ფართობია 659 კვ.კმ. მოსახლეობის 2017 წლის საშუალო წლიური რიცხოვნობა შეადგენს 29.5 ათას კაცს³. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ხობი.

ბიუჯეტი. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2016-2017 წლებში შემოსულობებმა 26,989.2 ათასი ლარი, ხოლო

² MREG.REESTRI.GOV.GE

³ www.geostat.ge.www.budgetmonitor.ge

გადასახდელებმა 25,371.1 ათასი ლარი შეადგინა. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი №1. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ
(ათასი ლარი)

დასახელება	2016 წელი			2017 წელი			საკასო შესრულ ებების ჯამი
	დაზუსტე ბული გეგმა	საკასო შესრულ ება	%	დაზუსტე ბული გეგმა	საკასო შესრულ ება	%	
შემოსულობები	13,861.7	15,027.5	108.4%	11,878.7	11,961.7	100.7%	26,989.2
შემოსავლები	13,789.8	14,605.3	105.9%	11,828.7	11,856.4	100.2%	26461.7
არაფინანსური აქტივების კლება	71.9	422.2	587.2%	50.0	105.3	210.6%	527.5
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	14,633.4	13,404.2	91.6%	13,791.4	11,966.9	86.8%	25371.1
ხარჯები	7,955.7	7,315.4	92.0%	6,600.4	6,098.3	92.4%	13413.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,476.7	5,953.9	91.9%	6,967.9	5,695.8	81.7%	11649.7
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	201.0	134.9	67.1%	223.1	172.8	77.5%	307.7
ნაშთის ცვლილება	-771.7	1,623.3	-	-1,912.7	-5.2	-	-

ბიუჯეტის 2016 წლის შესრულების მიხედვით, შემოსულობები გეგმიურთან შედარებით 1,165.8 ათასი ლარითაა გაზრდილი. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის, საშემოსავლო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადების გეგმების გადაჭარბებით შესრულებით.

2016-2017 წლების გადასახდელებში „ხარჯების“, „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „ვალდებულებების კლების“ მუხლების დაგეგმილი პარამეტრები არ შესრულებულა. „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის შესრულება დაბალია. ბიუჯეტის შესრულების 2016 წლის ანგარიშის მიხედვით აღნიშნული მუხლით დაგეგმილი იყო 6,476.7 ათასი ლარის ხარჯვა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 5,953.9 ათასი ლარი (91.9%). აღსანიშნავია, რომ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი ფაქტობრივად შესრულდა 3,609.1 ათასი ლარით, რადგან მუნიციპალიტეტმა 2016 წლის ბოლოს ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვისას ავანსის სახით გასცა 2,344.8 ათასი ლარი. ამდენად, გეგმის რეალური შესრულება შეადგენს 55.7%-ს. ანალოგიურად, 2017 წელს, ნაცვლად გეგმიური 6,967.9 ათასი ლარისა, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი

შესრულდა 5,695.8 ათასი ლარით (91.1%). გეგმის ფაქტობრივი შესრულება 4,410.1 ათასი ლარია, რადგან 2017 წლის ბოლოს ავანსის სახით გაცემულია 1,285.7 ათასი ლარი. შესაბამისად, მუხლი რეალურად შესრულდა 63.3%-ით.

გეგმის შეუსრულებლობა ორივე წლისათვის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტების დაუსრულებლობამ განაპირობა. კერძოდ, მომდევნო წელში გადავიდა სოფელ საგვიჩიოს ცენტრალური გზის რეაბილიტაციის, ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის, გზის ბეტონის საფარის მოწყობის და სხვა სამუშაოები. გარდა ამისა, 2016 წლის ბოლოს ხობის მუნიციპალიტეტს თავისუფალი ნაშთის სახით ანგარიშზე დარჩა 2,149.0 ათასი ლარი, ხოლო 2017 წლის ბოლოს - 1,412.9 ათასი ლარი.

ამდენად, ქალაქ ხობის მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სათანადო დაგეგმვა და შესრულება, რის გამოც ინფრასტრუქტურული პროექტების სახით განსაზღვრული პროდუქტი მოსახლეობას დადგენილ დროში ვერ მიეწოდა.

აუდიტის მიგნებები

მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

სოფელ საჯიჯაოს ხიდების რეაბილიტაციის პრობლემები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პროცესს ორგანიზება გაუწიოს იმგვარად, რომ განხორციელებული პროექტებისა და პროგრამების შედეგად მიღებული მატერიალური სიკეთე დროულად აისახოს მოსახლეობაზე და დააკმაყოფილოს მათი კონკრეტული საჭიროებები. პროექტების დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების რაოდენობა და შესაბამისად განსაზღვროს მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.

გამოვლენილი გარემოებები:

სოფელ საჯიჯაოს ხიდები

ხობის მუნიციპალიტეტმა 2017 წლის ოქტომბრის თვეში გამოაცხადა ორი ელექტრონული ტენდერი, რომელიც ითვალისწინებდა დაზიანებული ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოებს სოფელ საჯიჯაოში. ორივე ტენდერში გაიმარჯვა შპს „ელიტ პროდაქშენმა“ და 2017 წლის 6 დეკემბერს მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელთან გააფორმა ორი ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 121.5 ათასი ლარი, კერძოდ:

- /) საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში მდინარე ზანაძგაზე საფეხმავლო ხიდის (საჭანტურიოს უბანში) სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 60.2 ათასი ლარი⁴;
- /) საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში მდინარე ზანაძგაზე ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 61.3 ათასი ლარი⁵.

სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 4 თებერვალი. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული იყო ხიდების რეაბილიტაცია, არსებული მზიდი კონსტრუქციების გამოყენებით.

აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად დაათვალიერა სოფელ გაღმა საჯიჯაოში მდინარე ზანაძგაზე ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ორივე შემთხვევაში ობიექტები დაუსრულებელია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს. კერძოდ, მოსახლეობა გადაადგილდება შემოვლით გზით და მდინარეზე მოწყობილი ფონით.

სურათი №1. სოფელ გაღმა საჯიჯაოში (საჭანტურიოს უბანი) მდინარე ზანაძგაზე არსებული ხიდი

⁴ NAT170012660; ხელშეკრულება №163.

⁵ NAT170012649; ხელშეკრულება №164.



სურათი №2. სოფელ გაღმა საჯიჯაოში მდინარე ზანაბგაზე არსებული ხიდი



ხიდების რეაბილიტაციის ხელშეკრულებების შესრულების დოკუმენტაციის შესწავლით გაირკვა შემდეგი:

ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ორივე ხიდის დემონტაჟი ერთდროულად არ განხორციელებულიყო, რადგან მოსახლეობას მუნიციპალიტეტთან დაკავშირების სხვა ალტერნატიული გზა არ გააჩნდა. შესაბამისად, შპს „ელიტ პროდაქშენმა“ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო საჭანტურიის უბანში მდებარე საფეხმავლო ხიდზე, ხოლო მეორე ხიდისათვის მიწოდების ვადად განისაზღვრა პირველი ხიდის დასრულებიდან 60 კალენდარული დღე. ხელშეკრულების მიხედვით, ხიდის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული იყო მალის არსებული ნაშენის მეორადი გამოყენება. კერძოდ, არსებული მალი წარმოადგენდა ფოლადის ორტესებრი კოჭებისაგან შემდგარ მზიდ კონსტრუქციას.

მუნიციპალიტეტის განმარტებით, სამუშაოების დაწყების შემდეგ მოსახლეობამ მოითხოვა ხიდის საფეხმავლო კონსტრუქციის შეცვლა, მასზე მიკროავტობუსების მოძრაობის მიზნით. მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გაეზარდა ხიდის სიგანე და ტვირთამწეობა. ხიდის პარამეტრების შესაცვლელად საჭირო გახდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში კორექტირების შეტანა. 2018 წლის 19 თებერვალს მერიამ პროექტის კორექტირებისთვის მიმართა პროექტის ავტორს – შპს „ჰიდროგეოდეზიურ ცენტრს“.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილების განხორციელება გაჭიანურდა და მუნიციპალიტეტმა ვერ შეძლო გონივრულ ვადაში კორექტირებული პროექტის მიღება. დაგვიანების მიზეზებზე შპს „ჰიდროგეოდეზიურ ცენტრს“ მუნიციპალიტეტისათვის არ უცნობებია. კონსულტაციებისა და ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა შეადგინა შპს „ელიტ პროდაქშენმა“ და მუნიციპალიტეტს მიაწოდა 2018 წლის 19 ივნისს. დოკუმენტაცია ითვალისწინებდა საფეხმავლო ხიდის გადაკეთებას საავტომობილო ხიდად. კერძოდ, ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად იზრდებოდა ხიდის ზომები და მცირდებოდა მასა, რკინა-ბეტონის ფილის ნაცვლად დაღარული ლითონის ფურცლის მოწყობის ხარჯზე. ამასთანავე, არ შეცვლილა ხიდის მზიდი კონსტრუქცია არსებული მეორადი მალის სახით. კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა შედგენილი იყო ხელშეკრულების ღირებულების 10%-იანი ზრდის გათვალისწინებით. მერიამ დოკუმენტი შესათანხმებლად გადაუგზავნა შპს „ჰიდროგეოდეზიურ ცენტრს“, რომელმაც პროექტის ცვლილება შეითანხმა 22 ივნისს. კორექტირებული პროექტი არ შეიცავს კონსტრუქციულ ნახაზებს და სქემებს ხიდზე განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

2018 წლის 28 სექტემბერს მერიამ წერილობით მიმართა მიმწოდებელს და მოითხოვა სამუშაო პროცესის გააქტიურება. პასუხად შპს „ელიტ პროდაქშენმა“ ხელშეკრულების შეწყვეტა მოითხოვა⁶. მხარეთა შეთანხმებით, 2018 წლის 5 ნოემბერს შეწყდა ორივე ხელშეკრულების მოქმედება. შეწყვეტის საფუძველად პირველი ხელშეკრულების შემთხვევაში მითითებულია შემდეგი: შეცვლილი გარემოებების მიზეზით, ხიდის მალის არსებული ნაშენის მეორადი გამოყენება შეუძლებელი გახდა, ახლის შესამენად კი ხარჯთაღრიცხვაში თანხები გათვლილი არ იყო. საჭანტურიოს უბანში მდებარე ხიდზე შესრულებულმა სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 30.9 ათასი ლარი, რომელიც მუნიციპალიტეტმა სრულად აანაზღაურა. კერძოდ, მიმწოდებელმა მოაწყო ხიდის მზიდი

⁶ წერილი №5035,01.10.2018.

კონსტრუქციის ბურჯები, კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად⁷. მეორე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველად მითითებულია მზიდი კონსტრუქციის დარღვევა, რადგან მძიმე ტრანსპორტის გადაადგილების შედეგად ზაფხულის პერიოდში მდინარე ზანაძეზე მდებარე მეორე ხიდი ჩაინგრა.

მუნიციპალიტეტი შესყიდვის მიზნის მისაღწევად მოქმედებდა არათანმიმდევრულად, არაგეგმიურად და მის გადაწყვეტილებებში ზოგ შემთხვევაში არ იყო დაცული სამეურნეო საქმიანობის ლოგიკური ჯაჭვი. კერძოდ:

საქანტურიოს უბანში მდებარე ხიდის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველად მუნიციპალიტეტმა გამოიყენა არარსებული მოტივი, ხიდის კონსტრუქციის უვარგისობის შესახებ, რადგან შეთანხმების გაფორმების მომენტში კონსტრუქცია აღარ წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის საკუთრებას და რამდენიმე თვის გასხვისებული იყო, ჯართის სახით. კერძოდ, სამუშაოების მიმდინარეობისას მიმწოდებელმა მოახდინა ხიდის დემონტაჟი და 2018 წლის 7 თებერვალს ჩააბარა მუნიციპალიტეტს. აუდიტის ობიექტმა კონსტრუქცია ლითონის ჯართის სახით დაჩქარებული წესით შეაფასა და 2018 წლის 2 მარტს მოიპოვა ქონების ღირებულების აუდიტორული დასკვნა⁸. მუნიციპალიტეტმა ელექტრონული აუქციონი გამოაცხადა 21 მაისს და ქონება ჯართად გაყიდა 19 ივნისს. მუნიციპალიტეტმა ხიდის ძირითადი კონსტრუქციის პრივატიზება მოახდინა ისე, რომ არ გააჩნდა ალტერნატიული მზიდი კონსტრუქცია. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები თუ რატომ მიიღო გადაწყვეტილება ხიდის კონსტრუქციის გაყიდვის შესახებ და მოახდინა მისი სასწრაფო რეალიზაცია.

აღსანიშნავია, რომ ხიდის არსებული მალის უვარგისობა ექსპერტიზის დასკვნით არ დადასტურებულა. შესაბამისად, აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები თუ რატომ გახდა შეუძლებელი კონსტრუქციის გამოყენება, რაც ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი გახდა.

გარდა ამისა, 2018 წლის 19 თებერვლიდან 22 ივნისამდე პერიოდში მიმდინარეობდა ხიდის საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირების პროცესი. საბოლოოდ მუნიციპალიტეტმა მიიღო დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა ისევ არსებული კონსტრუქციის გამოყენებას. ქონების პრივატიზაციის დღეს – 19 ივნისს მუნიციპალიტეტმა შპს „ელიტ პროდაქშენისაგან“ ჩაიბარა კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა. შესაბამისად, გაუგებარია როგორ აპირებდა მუნიციპალიტეტი ხარჯთაღრიცხვაში ასახული უკვე გასხვისებული კონსტრუქციის გამოყენებას და რა დანიშნულება ჰქონდა წარმოდგენილ დოკუმენტს.

⁷ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ვადაგადაცილების გამო მიმწოდებელზე გავრცელებულია საჯარიმო სანქცია. მუნიციპალიტეტს ჯარიმის ოდენობის შესახებ მიმწოდებლისათვის წერილობით არ უცნობებია.

⁸ კონსტრუქცია შეფასებულია 1000 ლარად.

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, თავდაპირველად დაგეგმილი იყო არსებული კონსტრუქციის გამოყენება, რომელიც გამოუსადეგარი გახდა ხიდის გაბარიტების გაზრდის გამო. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა მოლაპარაკება დაიწყო მიმწოდებელთან არსებული კონსტრუქციის სხვა ახალი მალით შეცვლასთან დაკავშირებით. კერძოდ, თებერვლის თვეში გადაწყდა, რომ ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდებოდა 10%-ით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საკითხი არ გადაწყდა, რადგან აღნიშნული ზრდა არ აღმოჩნდა საკმარისი ახალი კონსტრუქციის შესამენად. ამასთან, ხელშეკრულების ღირებულების მეტი მოცულობით გაზრდა კანონმდებლობით არ იყო დაშვებული. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელთან მოლაპარაკების პროცესი და შედეგი დოკუმენტურად არ გაფორმებულა. ხიდის რეაბილიტაციის პროცესი ფაქტობრივად წარიმართა განსხვავებულად, ვიდრე ეს წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია ასახული. პარალელურად მუნიციპალიტეტი მაისის თვიდან მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, ჭალადიდი-ხორგა-ხოზის საავტომობილო გზაზე დემონტირებული ხიდის ლითონის კონსტრუქციის გადმოცემაზე. კერძოდ, აღნიშნულ საკითხზე მიღწეული იყო სიტყვიერი შეთანხმება.

პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილი განმარტებები არ არის დალაგებული ლოგიკურად და მიუთითებს მმართველობითი გადაწყვეტილებების სისუსტეზე. იმ შემთხვევაში, თუკი მუნიციპალიტეტი მოლაპარაკებებს აწარმოებდა შპს „ელიტ პროდაქშენთან“ ალტერნატიული მზიდი კონსტრუქციების გამოყენების შესახებ, გაუგებარია რატომ არ მიუთითა საპროექტო ორგანიზაციას დასაპროექტებლად გამოყენებინა ახალი კონსტრუქცია. ანალოგიურად, მუნიციპალიტეტმა არ მოითხოვა საპროექტო დოკუმენტაციის გადაწყობა ჭალადიდი-ხორგა-ხოზის საავტომობილო გზიდან დემონტირებულ კონსტრუქციაზე, რომლის პარამეტრებიც განსხვავდებოდა არსებულისაგან. ასევე, ვერ აიხსნება მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება ხიდის რეაბილიტაციის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, თუკი მუნიციპალიტეტი ელოდებოდა სხვა კონსტრუქციის გადმოცემას.

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შეთანხმების მიუხედავად ხიდის კონსტრუქციის გადმოცემა წერილობით მაშინვე არ მოუთხოვიათ. კერძოდ, მოთხოვნა მალევის მისაღებად გაგზავნილია რამოდენიმე თვის შემდეგ - 2018 წლის 12 ნოემბერს, ხოლო ქონების გადმოცემა დასრულდა 21 ნოემბერს. მიმწოდებელმა საწარმომ⁹ ხიდის ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟი მოახდინა 2018 წლის მაისში. მასალები ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ტრანსპორტირებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რაც არ მოხდებოდა მხარეებს შორის შესაბამისი

⁹ ტენდერი გამოაცხადა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა.

შეთანხმების არსებობის შემთხვევაში. კერძოდ, ქონების გადმოცემის შემდეგ აუდიტის ობიექტს მოუწია კონსტრუქციების ისევ ხობის ტერიტორიაზე დაბრუნება. გასათვალისწინებელია, რომ ხიდის რეაბილიტაციის პროცესში ახალი მზიდი კონსტრუქციების გამოყენებამ შესაძლებელია მოითხოვოს უკვე დასრულებული ბურჯების კონსტრუქციული ცვლილება და საექსპერტო კვლევა, რაც დაკავშირებულია დამატებით საბიუჯეტო დანახარჯებთან¹⁰.

დასკვნა

ხობის მუნიციპალიტეტმა ორგანიზაციულად სწორად და ლოგიკურად ვერ დაგეგმა და განახორციელა სოფელ საჯიჯაოში დაზიანებული ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ, თავიდანვე არ გაითვალისწინა მოსახლეობის საჭიროებები, ხიდების კონსტრუქციული თავისებურებები და სხვა მოსალოდნელი სირთულეები. ამასთან, მოახდინა ხიდის არსებული კონსტრუქციის პრივატიზება და გონივრულ ვადაში ვერ უზრუნველყო მისი ჩანაცვლება. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა და აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულებები ხიდის კონსტრუქციის პრივატიზების აუცილებლობის შესახებ.

2018 წლის 4 თებერვალს დასასრულებელი სამუშაოები დღევანდელი მდგომარეობითაც შეუსრულებელია. მუნიციპალიტეტმა შესყიდვების პროცესში არაეფექტიანად დახარჯა 30.9 ათასი ლარი და ვერ მიაღწია შესყიდვით დაგეგმილ შედეგს, რაც პრობლემას უქმნის მოსახლეობას.

ხარვეზებით განხორციელებული კეთილმოწყობის სამუშაოები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად¹¹, შესყიდვის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას. სამუშაოს დასრულების ზუსტი თარიღის განსაზღვრა მნიშვნელოვანია საჯარიმო სანქციების გავრცელების მხრივაც, რაც ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს წარმოადგენს. სატენდერო დოკუმენტაციასა და ხელშეკრულებაში ასახული პირობების შესრულება სავალდებულოა შესყიდვებში მონაწილე პირებისთვის. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს და სამუშაოს დასრულების ვადა გადაიწიოს მხოლოდ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო.

¹⁰ მუნიციპალიტეტის განმარტებით, პირველ რიგში დაიწყება საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის პროცესი.

¹¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 19, პუნქტი 6.

ნებისმიერი ცვლილება დაუშვებელია, რომელსაც მოჰყვება შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა¹².

მუნიციპალიტეტმა შესაძლებელია იმსჯელოს ხელშეკრულების პირობების ცვლილების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სამუშაო პერიოდში ადგილი ჰქონდა ფორსმაჟორულ სიტუაციას ან წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებებით დადასტურდება, რომ მოსული ნაღებების რაოდენობა საშუალო სტატისტიკური მონაცემებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

პროექტის შესრულებაზე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დანერგილმა კონტროლის პროცედურებმა უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი სამუშაოების ჩაბარება. ხარისხის შესაბამისი კვლევებით შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შესყიდვის ისეთი ობიექტებისათვის, რომელთა სრული ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასება ვიზუალურად ნაკლებად შესაძლებელია. მათ შორის, საგზაო სამოსის (ასფალტბეტონი, ბეტონი) ხარისხის დადასტურება საჭიროებს გამოყენებული ნიმუშების ლაბორატორიულ კვლევას, რათა გზის ექსპლუატაცია უზრუნველყოფილი იყოს ხანგრძლივ პერიოდში. ხოზის მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობებით, საგარანტიო ვადის ფარგლებში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას შესრულებული სამუშაოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი დაზიანებები.

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებში გამოიყენება საჯარიმო სანქციები (პირგასამტეხლო) ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის. ჯარიმების მიზანია მოახდინოს მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევის პრევენცია. პირგასამტეხლოს გადახდა, ისევე როგორც ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება, მხარეებისათვის სავალდებულოა. ხოზის მუნიციპალიტეტი ზოგიერთი ხელშეკრულების შემთხვევაში იყენებდა საჯარიმო სანქციას სამუშაო ვადის დარღვევისათვის, რომელიც შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.02%-ს შეადგენს, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით დაუყოვნებლივ მიმართოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილობითი შეტყობინებით, თუ წარმოიშობა პრეტენდენტის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძველი¹³.

¹² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 5.

¹³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანება „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“; მუხლები 3,4.

გამოვლენილი გარემოებები:

ხობის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების პროცესი ხასიათდება ხარვეზებით, რომელიც სისტემურ ხასიათს ატარებს:

1) მუნიციპალიტეტი ხშირ შემთხვევაში ზრდიდა შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებს, უამინდობის მოტივით. ცვლილების საფუძველია სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოდან“ წარმოდგენილი ცნობები ნალექიანი დღეების რაოდენობის შესახებ. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა იმავე მეტეოროლოგიური სადგურების წინა წლების მაჩვენებლები. გამოვლინდა, რომ 2016-2017 წლების ნალექიანი დღეების რაოდენობა, მათ შორის პერიოდების მიხედვით, რეგიონის წინა წლების საშუალო მაჩვენებლის ფარგლებშია და უამინდობის მოტივი მუნიციპალიტეტს მიწოდების ვადების გაზრდისათვის არ უნდა გაეთვალისწინებინა. შესაბამისად, მიმწოდებლებისათვის არ უნდა გაეზარდა სამუშაოების დასრულების ვადა და გაეზრდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

2) ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, მუნიციპალიტეტი ზოგიერთი შემთხვევაში იყენებდა საჯარიმო სანქციის მინიმალურ ოდენობას, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა შესყიდვის ობიექტების დაგვიანებით მიწოდების პრევენციას და მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვას. კერძოდ, საჯარიმო სანქცია სამუშაო ვადის დარღვევისათვის გათვალისწინებული იყო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. აღნიშნულით საწარმოებს ექმნებოდათ შესაძლებლობა, მიწოდების ვადის მნიშვნელოვანი დარღვევის შემთხვევაშიც კი, მინიმალური დანახარჯებით შეესრულებინათ სახელშეკრულებო პირობები. სამუშაოების გაჭიანურებით დაზარალდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

3) მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულ ზოგიერთ საგზაო სამუშაოზე ჩატარებული საექსპერტო კვლევები არ იძლევა საგზაო სამოსის ხარისხის სრულ დადასტურებას. კერძოდ, წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნების მიხედვით, მუნიციპალიტეტში შესრულებული საგზაო სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია, რაც ეყრდნობა მიმწოდებლის მიერ წარდგენილ დადებით ლაბორატორიულ დასკვნას. ლაბორატორიული დასკვნა, როგორც წესი, გაიცემა მოწყობილი საგზაო სამოსის ამონაჭერის კვლევის შედეგად. აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა 2016-2017 წლებში შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები. აღმოჩნდა, რომ მოწყობილი გზის საფარიდან არ არის აღებული ნიმუშები ლაბორატორიული კვლევისათვის. შესაბამისად, გაურკვეველია თუ რის საფუძველზეა გაცემული კონკრეტული ლაბორატორიული შემოწმების დასკვნები. გარდა ამისა, ზოგიერთი საგზაო სამუშაოს ლაბორატორიული კვლევა არ ჩატარებულა.

) მუნიციპალიტეტში შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლის სისტემა ზოგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების დადგენილ ხარისხს. კერძოდ, არსებობს კონტროლის ჯგუფისა და საექსპერტო დაწესებულებების დადებითი დასკვნები, თუმცა ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში ხარისხობრივად გაუარესებულია. გარდა ამისა, ხობის მუნიციპალიტეტში არ მუშაობს საგარანტიო პერიოდში არსებული ხარვეზების გამოვლენისა და გამოსწორების მექანიზმი, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესაბამისობას სრული საგარანტიო ვადის მანძილზე. პროექტების ვიზუალური შესწავლის შედეგად გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული ცალკეული სამუშაოები, რომელთა ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო ვადები ჯერ კიდევ მოქმედებს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს მიმწოდებლებისათვის დაზიანებების გამოსწორების მოთხოვნით.

) იმ შემთხვევაშიც კი, როცა მუნიციპალიტეტი სწორად ავრცელებდა საჯარიმო სანქციებს ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, ვერ უზრუნველყოფდა საჯარიმო თანხების სრულ ამოღებას.

სოფელ ოხვამეკარში სასაფლაომდე მისასვლელი გზის ბეტონის საფარის მოწყობა

2016 წელს ხობის მუნიციპალიტეტმა ტენდერის საშუალებით შეისყიდა ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ოხვამეკარში სასაფლაომდე მისასვლელი გზის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები¹⁴. გამარჯვებულ საწარმოსთან შპს „ლევიანასთან“ ხელშეკრულება გაფორმდა 2016 წლის 7 ოქტომბერს, ღირებულებით 152.2 ათასი ლარი. ხელშეკრულების შესაბამისად, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2016 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით.

ხელშეკრულების შესრულების დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ შპს „ლევიანა“ დადგენილ ვადაში ვერ ასრულებდა სამუშაოებს. ნაცვლად დაჯარიმებისა, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია 26 დღით, უამინდობის მოტივით. მიუხედავად ამისა, „შპს ლევიანამ“ აღნიშნული სამუშაოები დაასრულა 2 დღის დაგვიანებით¹⁵. უამინდობა ვერ ჩაითვლება მიწოდების ვადის ცვლილების ობიექტურ გარემოებად. ამდენად, მუნიციპალიტეტს არ უნდა გაეზარდა მიწოდების ვადა. იმ შემთხვევაში, თუკი მუნიციპალიტეტი არ შეცვლიდა ხელშეკრულების პირობებს, მიმწოდებელს დამატებით დაერიცხებოდა 4.0 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია.

ხელშეკრულების პირობებით, საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის შპს „ლევიანას“ უნდა წარმოედგინა ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და

¹⁴ NAT160001394. ხელშეკრულება №165. სამუშაოების საგარანტიო ვადა 5 წელი.

¹⁵ დაჯარიმებულია 304 ლარით.

ხარისხის შესახებ. მიმწოდებელმა წარმოადგინა შპს „არდას“ საექსპერტო დასკვნა, სადაც ექსპერტმა დაადასტურა შესრულებული სამუშაოების აქტების (ფორმა №2) შესაბამისობა. ამასთანავე, დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამუშაოების ხარისხი ვიზუალური დათვალიერებით დამაკმაყოფილებელია.

საგზაო სამოსი მიეკუთვნება მშენებლობის ისეთ კატეგორიას, რომლის ხარისხის დასადასტურებლად ვიზუალური შეფასება საკმარისი არ არის და საჭიროებს ლაბორატორიულ კვლევას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა და აანაზღაურა 149.1 ათასი ლარის ისეთი სამუშაოების ღირებულება, რომლის ხარისხი შესაბამისი კვლევით სათანადოდ არ დადასტურებულა.

სოფელ ზენის ქუჩების კეთილმოწყობა

2016 წლის მუნიციპალიტეტმა ტენდერის საშუალებით შეისყიდა საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზენში ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები¹⁶. გამარჯვებულთან – შპს „შარა-გზამშენი პირველთან“ 21 ნოემბერს გაფორმებულია 1,099.5 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღე, 2017 წლის 19 თებერვლის ჩათვლით. სამუშაოების საკასო ხარჯი 858.7 ათასი ლარია.

შპს „შარა-გზამშენი პირველი“ დადგენილ ვადაში ვერ ასრულებდა სამუშაოებს. ნაცვლად დაჯარიმებისა, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია ჯამში 55 დღით – 15 აპრილის ჩათვლით, უამინდობის მოტივით. მიმწოდებელმა სამუშაოები დაასრულა დაგვიანებით – 10 მაისს და დაჯარიმდა 21.5 ათასი ლარით¹⁷. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი შემსრულებელს არ გაუფორმებდა შეთანხმებას ვადის გაგრძელებაზე და აამოქმედებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს, მიმწოდებელს დამატებით დაეკისრებოდა 47.3 ათასი ლარის პირგასამტეხლო, მიწოდების ვადის დარღვევისათვის.

ხელშეკრულების პირობებით, საბოლოო ანგარიშსწორებისთვის მიმწოდებელმა წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესახებ. ამასთანავე, ექსპერტი მიუთითებს, რომ მიმწოდებელმა წარმოადგინა ლაბორატორიული გამოცდის შედეგები.

¹⁶ SPA160000755. ხელშეკრულება №180. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებდა ქ. ხოშში კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის კეთილმოწყობის და საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯაპიშაქარში არსებული ცხაურის სარემონტო სამუშაოებს. ხელშეკრულების საკასო ხარჯი 1,099.5 ათასი ლარია.

¹⁷ მიმწოდებელს ჯარიმა არ გადაუხდია.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად სამუშაოების დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ასფალტის საფარიდან არ არის აღებული ნიმუშები ხარისხის ლაბორატორიული შემოწმებისათვის, რაც წინააღმდეგობაშია წარმოდგენილი დასკვნის მონაცემებთან. გარდა ამისა, ასფალტის ზედაპირზე შეინიშნება სეგრეგაცია; ბეტონის სათავისები (ბოგირები) მოწყობილია უხარისხოდ; წყლის ზემოქმედების გამო ნაწილობრივად ჩანგრეულია სავალი ნაწილის ზედაპირი; მოსახლეობის ეზოებისა და გზის მიერთებები უხარისხოა¹⁸.

სურათი №3. სოფელ ზენის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები



შუა ხორგის, ქარიატისა და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენი სისტემის ქსელის მოწყობის სამუშაოები

2017 წელს მუნიციპალიტეტმა ტენდერის საშუალებით შეისყიდა შუა ხორგის, ქარიატისა და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენი სისტემის ქსელის მოწყობის სამუშაოები¹⁹. გამარჯვებულ საწარმოსთან – შპს „არნაზი 21-თან“ ხელშეკრულება გაფორმდა 2017 წლის 20 ნოემბერს, ღირებულებით 920.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების

¹⁸ სამუშაოების საგარანტიო ვადა არის 5 წელი.

¹⁹ NAT170012153. ხელშეკრულება №153. სამუშაოების საგარანტიო ვადა 5 წელი.

შესაბამისად სამუშაოები უნდა შესრულებულიყო ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე 600.0 ათასი ლარის სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 2018 წლის 20 მარტი, ხოლო მეორე ეტაპზე (320.0 ათასი ლარი) – 2018 წლის 22 ოქტომბერი.

2018 წლის 14 მარტს, სამუშაოების პირველი ეტაპის დასრულებამდე 6 დღით ადრე, შპს „არნაბი 21-მა“ გამგეობას მიმართა სამუშაოების დასრულების ვადის გადაწევის თხოვნით. მხარეთა შეთანხმებით, სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა 33 დღით, 2018 წლის 22 აპრილამდე, უამინდობის მოტივით. მიწოდების თავდაპირველ ვადაში მიმწოდებელს სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი არ ჰქონდა და სამუშაოებს აწარმოებდა გეგმა-გრაფიკის სრული დარღვევით. კემოდ, მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი პირველი აქტი მუნიციპალიტეტში 2018 წლის 25 აპრილს წარადგინა. ამდენად, მუნიციპალიტეტს შპს „არნაბი 21“ სამუშაოების პირველ ეტაპზე უნდა დაეჯარიმებინა გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის 36.4 ათასი ლარით, რაც არ გააკეთა. გარდა ამისა, ხოზის მუნიციპალიტეტს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ არ არსებობდა სამუშაოების შეფერხების ობიექტური საფუძველი და მიმწოდებელზე უნდა გავრცელებულიყო 4.3 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია მიწოდების ვადის დარღვევისათვის. აღნიშნული თანხა სიდიდის თვალსაზრისით არ არის შესაბამისობაში სამუშაოების დაგვიანების პერიოდთან, რადგან ხელშეკრულების პირობებით დადგენილია სანქციის მინიმალური მნიშვნელობა.

აუდიტის მიმდინარეობისას სამუშაოების მეორე ეტაპი დასრულებული არ იყო. მუნიციპალიტეტმა უნდა გაავრცელოს საჯარიმო სანქციები მიმწოდებლის მიმართ, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

სოფელ საგვიჩიოს ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

2017 წელს მუნიციპალიტეტმა ტენდერის საშუალებით შეისყიდა სოფელ საგვიჩიოს ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები²⁰. გამარჯვებულ საწარმოსთან – შპს „ბორი 85-თან“ ხელშეკრულება გაფორმდა 2017 წლის 23 აგვისტოს, ღირებულებით 1,086.6 ათასი ლარი. ხელშეკრულების შესაბამისად სამუშაოები უნდა შესრულებულიყო ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე 500.0 ათასი ლარის სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 3 თვე, 2017 წლის 23 ნოემბრის ჩათვლით. მეორე ეტაპი, 586.6 ათასი ლარის ღირებულებით, უნდა დასრულებულიყო 2018 წლის 18 ივლისს.

მხარეთა შეთანხმებით, სამუშაოების მიწოდების ვადა შეიცვალა სამჯერ და ჯამში გაგრძელდა 45 დღით, უამინდობის მოტივით. ფარული სამუშაოების აქტების შედგენის თარიღები იძლევა ინფორმაციას, რომ შპს „ბორი 85“ მუშაობდა მათ შორის ნაღვექიანი

²⁰ NAT170007979. ხელშეკრულება №109. სამუშაოების საგარანტიო ვადა 5 წელი.

დღეების განმავლობაშიც და მშენებლობა არ შეჩერებულა. გამომდინარე აქედან, მუნიციპალიტეტს არ უნდა გაეზარდა სამუშაოების მიწოდების ვადა. ამ შემთხვევაში, მიმწოდებელს სამუშაოების პირველი ეტაპისათვის დაერიცხებოდა 41.4 ათასი ლარი გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის და 3.9 ათასი ლარი – მიწოდების ვადის დარღვევისათვის. მეორე ეტაპზე საჯარიმო სანქცია გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის შეადგენს 71.0 ათას ლარს და მიწოდების ვადის დარღვევისათვის – 7.0 ათას ლარს.

სოფელ საგვიჩიოს ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია 2018 წლის 19 დეკემბერს. საბოლოო ანგარიშსწორებისას მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს მიმწოდებლის მიმართ საჯარიმო სანქციების გავრცელება, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

სოფელ გიმოზგონჯილში ქუჩის კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოები

2016 წელს ხობის მუნიციპალიტეტმა ელექტრონული ტენდერის საშუალებით²¹ შეისყიდა ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გიმოზგონჯილში ქუჩის კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოები. შპს „შარა-გზამშენი პირველთან“ ხელშეკრულება გაფორმებულია 26 დეკემბერს, ღირებულებით 630.1 ათასი ლარი. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2017 წლის 20 მარტს. ხელშეკრულების საკასო ხარჯი 630.1 ათასი ლარია.

მუნიციპალიტეტმა არ დააჯარიმა მიმწოდებელი და სამუშაოების დასრულების ვადა უამინდობის მოტივით გაზარდა 26 აპრილის ჩათვლით – 37 დღით. საბოლოოდ შპს „შარა-გზამშენი პირველთან“ სამუშაოები 40 დღიანი გადაცილებით – 2017 წლის 5 ივნისს დაასრულა და დაეკისრა პირგასამტეხლო ჯაშში 25.2 ათასი ლარის ოდენობით²². იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი არ გაზრდიდა მიწოდების ვადას, შპს „შარა-გზამშენი პირველს“ დამატებით დაეკისრებოდა 23.3 ათასი ლარის პირგასამტეხლო, მიწოდების ვადის დარღვევისათვის.

ხელშეკრულების პირობებით, საბოლოო ანგარიშსწორებისთვის მიმწოდებელმა წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესახებ. დასკვნაში ექსპერტი მიუთითებს, რომ მიმწოდებელმა წარმოადგინა ლაბორატორიული გამოცდის შედეგები.

აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებთან ერთად დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. გამოვლინდა, რომ ასფალტის საფარიდან ნიმუშები ლაბორატორიული შემოწმების მიზნით არ აღებულა. ამდენად, გაურკვეველია თუ რომელი

²¹ SPA160028909. ხელშეკრულება №210. სამუშაოების საგარანტიო ვადა 5 წელი.

²² მიმწოდებელს ჯარიმა არ გადაუხდია.

მასალის ლაბორატორიული გამოცდის შედეგები იქნა წარდგენილი ექსპერტიზისათვის. ამასთანავე, რეაბილიტირებული გზა ტალღოვანია, შეინიშნება ბზარები და ზოგიერთი ადგილი დაზიანებულია. ბეტონის სათავისები (ბოგირები) მოწყობილია უხარისხოდ.

სურათი №4. სოფელ გიმოზგონჯილში ქუჩის კეთილმოწყობის (მოსაფალტების) სამუშაოები



აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების პირობები მოსახლეობის ეზოებისა და გზის მიერთების მონაკვეთებზე ითვალისწინებდა ასფალტის პირველ ფენად მსხვილი და მეორე ფენად წვრილმარცვლოვანი ფრაქციების მოწყობას. წვრილმარცვლოვანი ფრაქციების მოწყობა დადასტურებული და ანაზღაურებულია შესრულებული სამუშაოების აქტებით, მიღება-ჩაბარების აქტებით და საექსპერტო დასკვნით²³. გზის დათვალიერებით გაირკვა, რომ ეზოების შესასვლელებში წვრილმარცვლოვანის ნაცვლად მოწყობილია მსხვილმარცვლოვანი ფრაქცია²⁴.

სოფელ პატარა ფოთის ქუჩების კეთილმოწყობა

2017 წელს მუნიციპალიტეტმა ტენდერის საშუალებით შეისყიდა სოფელ პატარა ფოთის ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები²⁵. გამარჯვებულ საწარმოსთან შპს „პრაიმ ბეტონთან“ ხელშეკრულება გაფორმდა 2017 წლის 1 ივნისს, ღირებულებით 1,118.8 ათასი

²³ საექსპერტო დაწესებულება – შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“.

²⁴ აუდიტის ჯგუფმა ვერ გაიანგარიშა თანხობრივი განსხვავება, რადგან უცნობია მოწყობილი ასფალტის ფრაქციის სისქე.

²⁵ NAT170003803. ხელშეკრულება №69. სამუშაოების საგარანტიო ვადა 5 წელი.

ლარი. ხელშეკრულების შესაბამისად, სამუშაოები უნდა შესრულებულიყო ორ ეტაპად. პირველი ეტაპის – 817.1 ათასი ლარის სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 2017 წლის 30 სექტემბერი. ხოლო მეორე ეტაპის (301.7 ათასი ლარი) – 2018 წლის 14 აპრილი.

ხოზის მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლის მოთხოვნით გაზარდა ორივე ეტაპის სამუშაოების დასრულების ვადები. აღსანიშნავია, რომ პირველი ეტაპის სამუშაოების დასრულების ვადამდე 3 დღით ადრე მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა სამუშაოების მხოლოდ 63% (513.3 ათასი ლარი). ჯამში მიწოდების პერიოდი უამინდობის გამო გაიზარდა 33 დღით. წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, მიმწოდებელმა პირველი ეტაპის სამუშაოები დაასრულა 2017 წლის 16 ოქტომბერს, ხოლო მეორე ეტაპის – 2018 წლის 4 მაისს.

უამინდობის მოტივი მუნიციპალიტეტს მიწოდების ვადის გაზრდისათვის არ უნდა გაეთვალისწინებინა. გარდა ამისა, მშენებლობის პროცესში შედგენილი ფარული სამუშაოების აქტების შედგენის თარიღები იძლევა ინფორმაციას, რომ შპს „პრაიმ ბეტონი“ მუშაობდა მათ შორის ნალექიანი დღეების განმავლობაშიც და მშენებლობა არ შეჩერებულა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციაში პროექტის ავტორს მშენებლობის ნორმატიული ხანგრძლივობა 6 (ექვსი) თვე მითითებული აქვს ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით და ამ პერიოდში შედის ნალექიანი დღეებიც. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს შპს „პრაიმ ბეტონისათვის“ არ უნდა გაეზარდა სამუშაოების მიწოდების ვადა. ამ შემთხვევაში, მიმწოდებელს სამუშაოების პირველი ეტაპისათვის დაერიცხებოდა 9.1 ათასი ლარი – გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის და 0.9 ათასი ლარი – მიწოდების ვადის დარღვევისათვის. მეორე ეტაპზე საჯარიმო სანქცია გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის შეადგენს 15.4 ათას ლარს და მიწოდების ვადის დარღვევისათვის – 0.8 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ სამუშაოების 33 დღით დაგვიანების პირობებშიც კი, საჯარიმო სანქცია ვადაგადაცილებისათვის შეადგენს მხოლოდ 1.7 ათას ლარს²⁶, საჯარიმო სანქციის სიმცირის გამო.

შპს „პრაიმ ბეტონმა“ ექსპერტიზას შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესამოწმებლად მიაწოდა მშენებლობისათვის გამოყენებული ბეტონის ლაბორატორიული გამოცდის ოქმები. აღსანიშნავია, რომ შპს „პრაიმ ბეტონმა“ საგზაო სამოსის მოწყობისათვის გამოყენებული ბეტონის ლაბორატორიული გამოკვლევა თვითონვე ჩაატარა, რაც შედეგობრივად რისკებს შეიცავს.

²⁶ $1.7=0.9+0.8$.

ქ. ხობის ქუჩების რეაბილიტაცია

2016 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ქ. ხობის ქუჩების რეაბილიტაციის, კერძოდ გურამიშვილის, ლოლუას, ვეკუას, ჯავახიშვილისა და მშვიდობის ქუჩების მოასფალტების სამუშაოები²⁷. შპს „შარა-გზამშენი პირველთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საკასო ხარჯი 569.3 ათასი ლარია. მიმწოდებელმა წარმოადგინა დადებითი საექსპერტო დასკვნა, რომელიც გაცემულია შესრულებული და ფარული სამუშაოების აქტების, ასფალტისა და ქვიშა-ღორღის ლაბორატორიული დასკვნების საფუძველზე.

სურათი №5. ქ. ხობის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები



აუდიტის ჯგუფმა ობიექტი დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად. აღმოჩნდა, რომ ასფალტის საფარიდან არ არის აღებული ნიმუშები ხარისხის შესამოწმებლად. ამდენად, გაურკვეველია თუ რომელი მასალის ლაბორატორიული გამოცდის შედეგები წარედგინა საექსპერტო დაწესებულებას. გარდა ამისა, ქუჩებზე შეინიშნება ბზარები და ზოგიერთი ადგილი დაზიანებულია.

ქ. ხობში ტერენტი გრანელის ქუჩის რეაბილიტაცია

2017 წელს, მუნიციპალიტეტმა შპს „შარა-გზამშენი პირველთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეისყიდა ქ. ხობში ტერენტი გრანელის ქუჩის

²⁷ SPA160005656. ხელშეკრულება №45. სამუშაოების საგარანტიო ვადა 5 წელი.

მომასწავლებლის სამუშაოები²⁸. აღნიშნული სამუშაოების საკასო ხარჯმა შეადგინა 59.3 ათასი ლარი. მიმწოდებელმა წარმოადგინა დადებითი საექსპერტო დასკვნა²⁹, რომელიც გაცემულია შესრულებული და ფარული სამუშაოების აქტების, ასფალტისა და ქვიშა-ლორდის ლაბორატორიული დასკვნების საფუძველზე.

აუდიტის ჯგუფმა ობიექტი დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად. აღმოჩნდა, რომ ასფალტის საფარიდან ნიმუშები ხარისხის შესამოწმებლად არ აღებულია და გაურკვეველია რომელი მასალის კვლევაზე გაიცა ლაბორატორიული დასკვნა. ქუჩაზე ზოგიერთი ადგილი დაზიანებულია. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების პირობები ითვალისწინებდა ეზოების შესასვლელებში წვრილმარცვლოვანი ფრაქციის მოწყობას. აღნიშნული სამუშაოები დადასტურებული და ანაზღაურებულია შესრულებული სამუშაოების აქტებით, მიღება-ჩაბარების აქტებით და საექსპერტო დასკვნით³⁰. გზის დათვალიერებით გაირკვა, რომ ეზოების შესასვლელებში მოწყობილია მსხვილმარცვლოვანი ფრაქცია³¹.

სურათი №6. ქ. ხობში ტერენტი გრანელის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები



ქარიატში მდებარე ბონდის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები

ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ბონდის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 2016 წელს, ტენდერის საშუალებით³². კერძოდ, 2016 წლის 10 ოქტომბერს შპს „სინათლე 2006“-თან გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 219.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2017 წლის 8 იანვარს.

²⁸ NAT170003631. ხელშეკრულება №68. სამუშაოების საგარანტიო ვადა 5 წელი.

²⁹ შპს „მშენ-ექსპერტი“.

³⁰ საექსპერტო დაწესებულება – შპს „მშენ-ექსპერტი“.

³¹ აუდიტის ჯგუფმა ვერ გაიანგარიშა თანხობრივი განსხვავება, რადგან უცნობია მოწყობილი ასფალტის ფრაქციის სისქე.

³² NAT160001396. ხელშეკრულება №166. სამუშაოების საგარანტიო ვადა 5 წელი.

მხარეთა შეთანხმებით, მიწოდების ვადა ნალექიანი დღეების გამო გაზრდილია 19 დღით, 2017 წლის 27 იანვრამდე. ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები 23 იანვარს დასრულდა. უამინდობით ვადის გადაწევის მოტივი ვერ ჩაითვლება ობიექტურ გარემოებად. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს მიმწოდებლისათვის არ უნდა შეეცვალა სამუშაოების დასრულების ვადა და გაეგრძელებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები. კერძოდ, მიმწოდებელს დაერიცხებოდა 3.3 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია.

სურათი №7. ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ბონდის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები



2018 წლის 14 ნოემბერს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ობიექტის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ბონდის ხიდი დაზიანებულია (მავთულბადით მოწყობილი მოაჯირი მნიშვნელოვნად დაზიანებულია; ყრილია გლინულები ხიდ-ბოგირის თითქმის მთელს პერიმეტრზე; ასევე ფოლადის ფურცლები შველერებზე არ არის მყარად დამაგრებული; მნიშვნელოვანი ხარვეზებია ახალი ფოლადის ფურცლების არსებულ ფოლადის ფურცლებთან ბმებში).

აუდიტის ჯგუფმა ხიდი დაათვალიერა განმეორებით. 2018 წლის დეკემბრის სტიქიური მოვლენების შედეგად ხიდი მნიშვნელოვნად დაზიანდა და მისი სავალი ნაწილი აღარ არსებობს.

ხიდი სპეციფიკური ხაზობრივი ნაგებობაა, რომლის ტექნიკური დეტალების შეფასება მოითხოვს სპეციალურ განათლებას. ამდენად, აუდიტის ჯგუფი მოკლებულია

შესაძლებლობას იმსჯელოს, რამ გამოიწვია ხიდის დაზიანებები – საპროექტო დოკუმენტაციის ნაკლოვანებამ, სამშენებლო ხარვეზებმა თუ სტიქიურმა მოვლენებმა.

სოფელ ბიაში წისქვილის მოწყობა

2016 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფელ ბიაში რეაბილიტირებულია წისქვილი. სამუშაოს საკასო ხარჯია 7.3 ათასი ლარია³³, რაც დახარჯულია არაეფექტიანად. ობიექტს არ მიეწოდება ელექტროენერგია და მოსახლეობა დანიშნულებისამებრ ვერ იყენებს.

2016-2017 წლებში ხობის მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის თავისუფალ ფულად რესურს. მიუხედავად ამისა, 2 წლის განმავლობაში ვერ უზრუნველყო ობიექტის ფუნქციონირება და მოსახლეობამ ვერ მიიღო შესაბამისი მომსახურება.

სოფელ დურდენას ბაღის რეაბილიტაცია

2016 წელს ხობის მუნიციპალიტეტმა ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში შეისყიდა სოფელ დურდენას საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ხელშეკრულება გაფორმდა ი/მ დათო ადამიასთან ღირებულებით 58.2 ათასი ლარი³⁴. ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა სხვადასხვა სამშენებლო სამუშაო. მათ შორის, შიდა კედლების მობათქაშება მაღალხარისხოვანი ქვიშა-ცემენტის ხსნარით და მათი შეღებვა მაღალხარისხოვანი წყალ-ემულსიის საღებავით.

აუდიტის ჯგუფმა შესყიდვის ობიექტი დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად. აღმოჩნდა, რომ მიმწოდებლის მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები უხარისხოა. შენობაში ბევრ ადგილას მნიშვნელოვნადაა დაზიანებული კედლები და ჭერი. კერძოდ, შეიმჩნევა ბზარები, ჩამოყრილია კაფელი, ნაღესი და ბათქაში, საღებავთან ერთად³⁵.

სურათი №8. სოფელ დურდენას საბავშვო ბაღი



³³ NAT160000777. ხელშეკრულება №152.

³⁴ NAT160000079. ხელშეკრულება №128.

³⁵ შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა 5 წელი. საექსპერტო დაწესებულება - შპს „არდა“



სოფელ შავდელეს საბავშვო ბაღი

2016 წელს ხობის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ შავდელეს საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები³⁶. ხელშეკრულება გაფორმდა ი/მ კახა ჩიქოვანთან ღირებულებით 21.6 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფმა შესყიდვის ობიექტი დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად. აღმოჩნდა, რომ მიმწოდებლის მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები უხარისხოა. შენობაში ბევრ ადგილას კედლები დაზარალებულია, ჩამოყრილია ნაღესი და ბათქაში³⁷.

სურათი №9. სოფელ შავდელეს ბაღი



საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია

2017 წელს ხობის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები³⁸. მიმწოდებელთან (შპს „შაკო+“) გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება 173.9 ათასი ლარია. საექსპერტო დასკვნის შესაბამისად ობიექტის ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

შესრულებული სამუშაოების დასათვალიერებლად აუდიტის ჯგუფი გავიდა ობიექტზე, სადაც გამოავლინა სხვადასხვა ხარვეზი. მათ შორის, საბავშვო ბაღის შენობის შიდა

³⁶ NAT160000596. ხელშეკრულება №134.

³⁷ შესრულებული სამუშაოების საგარანტო ვადა 3 წელი. საექსპერტო დაწესებულება - შპს „არდა“.

³⁸ NAT170008774. ხელშეკრულება №120.

კედლების ზედაპირი მასიურად დაზარალულია. ასევე დაზიანებულია შენობის გარე კედლის ნაწილი, ჩამოცვენილია ნაღესი და საღებავი³⁹.

სურათი №10. სოფელ საჯიჯაოს ბაგა-ბაღი



ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის რეაბილიტაცია

2016 წელს ხობის მუნიციპალიტეტმა ელექტრონული ტენდერის საშუალებით შეისყიდა ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის სარეაბილიტაციო და ეზოს შემოკავეების სამუშაოები. მიმწოდებელთან - ი/მ კახა ჩიქოვანთან გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება 26.9 ათასი ლარია⁴⁰. შესასრულებელი სამუშაო ითვალისწინებდა შენობის არსებული სახურავის დემონტაჟს და ახალი სახურავის მოწყობას მეტალო-კრამიტის ფურცლებით, რომლის ღირებულება შეადგენდა 13.6 ათას ლარს. მუნიციპალიტეტმა ინსპექტირების ჯგუფისა და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე ჩაიბარა და მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად ადგილზე დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები და აღმოჩნდა, რომ შენობაში ჩამოსულმა წყალმა ადმინისტრაციის შენობის ჭერი მნიშვნელოვნად დააზიანა⁴¹.

სურათი №11. ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა



³⁹ შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა 2 წელი. საექსპერტო დაწესებულება - შპს „თი აი ეი ჯგუფი“.

⁴⁰ SPA160013000. ხელშეკრულება №94.

⁴¹ შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა 5 წელი. საექსპერტო დაწესებულება - შპს „მშენ-ექსპერტი“.

ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში №2 ბადის სარეაბილიტაციო სამუშაოები

2016 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში №2 ბადის სარეაბილიტაციო სამუშაოები⁴². მიმწოდებელთან (შპს „დ. ხ. კომპანია“) გაფორმებულია ხელშეკრულება ღირებულებით 44.7 ათასი ლარი. წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნით, სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

ობიექტის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ იატაკი, შიდა კედლების ზედაპირი და მეტლახის იატაკი სველ წერტილში ნაწილობრივ დაზიანებულია, ასევე შენობაში ჩამოდის წყალი⁴³.

სურათი №12. ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში №2 ბადის სარეაბილიტაციო სამუშაოები



სოფელ ახალ ხიბულაში ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები

2016 წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ ახალ ხიბულაში ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები⁴⁴. შპს „ზუბი 2010“-თან 24 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, სამუშაოების საკასო ხარჯი 15.7 ათასი ლარია. კეთილმოწყობის სამუშაოები ითვალისწინებდა ობელისკის შემოღობვის ზემოთკვლის აღდგენით სამუშაოებს, საყრდენი და არსებული ბეტონის კედლების ზედაპირის დამუშავებას. კერძოდ, დაგეგმილი იყო დაზიანებული ბათქაშის ჩამოყრა,

⁴² NAT160000648. ხელშეკრულება №139.

⁴³ შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა 3 წელი. საექსპერტო დაწესებულება - შპს „არდა“

⁴⁴ NAT160000681. ხელშეკრულება №140 ითვალისწინებდა სოფელ ზუბში ცენტრის კეთილმოწყობასაც. ხელშეკრულების საკასო ხარჯი 22.2 ათასი ლარია.

კედლების აღდგენა ბათქაშით, ზემირკვლის კედლების, არსებული და საყრდენი კედლების დაფარვა ცემენტის ხსნარის ფერადი ნაშხევით. აღნიშნული სამუშაოები ასახულია შესრულებული სამუშაოების აქტებში.

შპს „ზუბი 2010“-თან გაფორმებული ხელშეკრულების საკასო ხარჯი 22.2 ათასი ლარია. შესრულებული სამუშაოები დაადასტურა ხელშეკრულების შესრულების კონტროლის ჯგუფმა. სამუშაოების საექსპერტო დასკვნაში აღნიშნულია, რომ შესრულებული სამუშაოების მოცულობები და ღირებულებები შესაბამისობაშია ექსპერტიზისათვის წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოების აქტებთან. ვიზუალური დათვალიერებით, სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

აუდიტის ჯგუფმა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად, დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. აღმოჩნდა, რომ სამუშაოები ჩატარებულია უხარისხოდ. კერძოდ, ობელისკის ტერიტორიაზე მონუმენტის საყრდენი ფუძისა და შემოღობვის ზემირკვლის კედლის ზედაპირი არ არის გასწორებული და ნაწილობრივ ჩამოცვენილია. გარდა ამისა, ზედაპირი შეღებილია და არ არის გამოყენებული ცემენტის ნაშხევი. ასევე არ არის მოწყობილი ნაშხევი არსებული ბეტონის კედლის ზედაპირზე. გამომდინარე აქედან, ექსპერტმა ჩათვალა, ხოლო მუნიციპალიტეტმა დაადასტურა და აანაზღაურა ისეთი სამუშაოები, რომელიც მიმწოდებელს არ შეუსრულებია⁴⁵.

გადაუხდელი ჯარიმები

მუნიციპალიტეტი ხშირ შემთხვევაში არ იცავდა ხელშეკრულების პირობას, საჯარიმო სანქციების გავრცელების შესახებ. კერძოდ, მიმწოდებელთან საბოლოო მიღება-ჩაბარების დოკუმენტს ადგენდა და სრულ ანგარიშსწორებას ახდენდა მიმწოდებლის მიერ საჯარიმო თანხის გადახდის ვალდებულების შესრულების გარეშე. ხელშეკრულებების შესრულების დოკუმენტაციის შესწავლით აღმოჩნდა, რომ ზოგიერთმა მიმწოდებელმა საჯარიმო თანხა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არ გადაიხადა. მუნიციპალიტეტი არ ატარებდა საკმარის და შესაფერის ღონისძიებებს კუთვნილი საჯარიმო თანხების მისაღებად.

ხოზის მუნიციპალიტეტმა 2016-2017 წლებში მიმწოდებლებს დაარიცხა სულ 251.7 ათასი ლარის ჯარიმა. აღნიშნული საჯარიმო სანქციებიდან მიმწოდებლებმა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩარიცხეს მხოლოდ 12.4 ათასი ლარი, რაც მთლიანი თანხის მხოლოდ 4.9%-ია. კუთვნილი საჯარიმო თანხების მისაღებად მუნიციპალიტეტი შემოიფარგლებოდა მხოლოდ წერილობითი მიმართვით, რაც ვერ უზრუნველყოფდა საჯარიმო თანხების სრულად მიღებას. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა საჯარიმო სანქციები გაავრცელა

⁴⁵ შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა 3 წელი. საექსპერტო დაწესებულება - შპს „არდა“

79 ხელშეკრულების შემთხვევაში და 20 მიმწოდებლისთვის თანხის გადახდის შესახებ არ მიუწერია. ამ ხელშეკრულებების ფარგლებში სულ გადასახდელი იყო 136.5 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო მიემართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლების შავ სიაში შესაყვანად, რაც არ გაუკეთებია. მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია არც სხვა სამართლებრივი ღონისძიებები არსებითი ოდენობის საჯარიმო თანხების მისაღებად. დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როცა მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა მიმწოდებლებთან, რომლებსაც გადაუხდელი ჰქონდათ წინა ხელშეკრულებების ფარგლებში დარიცხული საჯარიმო სანქციები. მაგალითად:

შპს „შარა-გზამშენი პირველს“ 2016 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ეცნობა პირგასამტეხლოს - 37.6 ათასი ლარის გადახდის შესახებ⁴⁶. შპს-ს აღნიშნული თანხა არ გადაუხდია. მუნიციპალიტეტმა ჯარიმის ამოსაღებად სხვა ღონისძიება არ გაატარა. მათ შორის, არ აცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმწოდებლის შავ სიაში შეყვანის მოთხოვნით, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის. იმის გამო, რომ მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საკითხი არ განხილულა და გადაწყვეტილა, შპს „შარა-გზამშენი პირველმა“ გაიმარჯვა მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ორ ტენდერში⁴⁷ და მასთან მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულებები გააფორმა 2016 წლის 21 ნოემბერს და 26 დეკემბერს, სულ ღირებულებით 1,729.5 ათასი ლარი. მიმწოდებელმა ვერც ამ ხელშეკრულებების ფარგლებში შეძლო სამუშაოების დროული დასრულება. მუნიციპალიტეტმა დააჯარიმა 46.7 ათასი ლარით, თუმცა შპს-ს არც ეს ჯარიმები გადაუხდია.

უნდა აღინიშნოს, რომ შპს „შარა-გზამშენი პირველის“ მიერ ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესრულებული საგზაო სამუშაოები ძირითადად უხარისხო და დაზიანებულია. საწარმოს საექსპერტო დაწესებულებებში წარდგენილი აქვს ნიმუშების ლაბორატორიული დასკვნები ისე, რომ ასფალტბეტონის საფარიდან არ არის აღებული შესაბამისი მასალა. საწარმო, როგორც წესი, აგვიანებდა სამუშაოების დასრულებას, არ იხდიდა დაკისრებულ ჯარიმებს და აგრძელებდა შესყიდვების პროცესებში მონაწილეობას. შპს „შარა-გზამშენი პირველის“ და ხობის მუნიციპალიტეტის ურთიერთობა 2016-2017 წლებში განხორციელებული შესყიდვებისათვის ხასიათდება სისტემური ხარვეზებით, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას შესაბამისი ორგანოებისაგან.

დასკვნა

ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვისას, ხობის მუნიციპალიტეტი მიმწოდებლებზე ზოგჯერ არ ავრცელებდა საჯარიმო სანქციებს სამუშაოების გეგმა-

⁴⁶ ხელშეკრულება №45.

⁴⁷ ხელშეკრულება №180 და №210.

გრაფიკების დარღვევისათვის. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი დაუსაბუთებლად ზრდიდა ობიექტის დასრულების ვადებს, სამუშაო პერიოდში ნალექიანი დღეების ფაქტობრივი რაოდენობის შესაბამისად. არსებობს რისკი, რომ მიწოდების ვადების გაზრდის მოტივს მიმწოდებლებზე საჯარიმო სანქციების გაუვრცელებლობა წარმოადგენდა, რომლის მოცულობაც არსებითია.

ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებულმა საჯარიმო სანქციებმა ვერ უზრუნველყო შესყიდვის ობიექტების დაგვიანებით მიწოდების პრევენცია. სამუშაოებს ვადაგადაცილების პერიოდი ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებისას არსებითია.

მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა ისეთი ობიექტები, რომელთა ხარისხიც დროის მოკლე პერიოდში გაუარესებულია. გარდა ამისა, ზოგიერთ პროექტზე შესრულებული სამუშაოების ხარისხი ექსპერტულად დადასტურებული არ არის. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს არ აქვს სათანადო რწმუნება, რომ სამუშაოების ხარისხი შესაბამისობაშია მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან. მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული საგარანტიო მექანიზმი და გონივრულ ვადაში არ მოითხოვა დაზიანებული ობიექტის აღდგენა.

მნიშვნელოვნად დაზიანებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი საგზაო სამოსის (ასფალტბეტონი) ნაწილი, რომლების ხარისხიც ლაბორატორიულად არ შესწავლილა. ამასთანავე, შეცვლილია ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების შემადგენლობა, რითაც გზის მახასიათებლები და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის პირობები გაუარესდა.

მუნიციპალიტეტს არ აქვს დანერგილი ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა მიმწოდებლებისათვის დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულებას და საჯარიმო თანხების ანაზღაურებას. კერძოდ, მუნიციპალიტეტს არ აქვს შესაბამისი მიდგომა არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლების მიმართ და არ მიმართავდა ქმედით და კანონმდებლობით განსაზღვრულ ზომებს საჯარიმო თანხების არგადამხდელი სუბიექტების მიმართ. მუნიციპალიტეტის მიერ უგულვებელყოფილია მისი როგორც შემსყიდველი და საბიუჯეტო ორგანიზაციის კანონიერი ინტერესები.

ამდენად, ხოზის მუნიციპალიტეტმა 2016-2017 წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის პროცესი წარმართა მნიშვნელოვანი და არსებითი დარღვევებით და ვერ უზრუნველყო დახარჯული საბიუჯეტო რესურსის ადეკვატური შედეგების მიღწევა.

აღსანიშნავია, რომ ხარვეზი მიწოდების ვადების დაუსაბუთებელი გაზრდისა და ამოუღებელი ჯარიმების შესახებ დაფიქსირებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

წინა აუდიტის ანგარიშშიც. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა სათანადო რეაგირება არ მოახდინა და განმეორებით დაუშვა სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოს მიერ გამოვლენილი და აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოება.

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ზოგიერთმა მიმწოდებელმა დაიწყო უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორება. აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას განსაზღვროს თუ რამდენად საკმარისი და შესაფერისია ჩატარებული სამუშაოები და რამდენად უზრუნველყოფს დადგენილ სამშენებლო სტანდარტებთან შესაბამისობას.

რეკომენდაცია №1: მუნიციპალიტეტის მერიამ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ცვლილება არ განახორციელოს დაუსაბუთებელი გარემოებებით და გაითვალისწინოს მხოლოდ ობიექტური და ფორსმაჟორული საფუძვლების არსებობა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის, გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს გამოუყენებელი ობიექტების ამოქმედება და ფუნქციური დატვირთვა. შედეგად, დროულად მიიღება ის პროდუქტი, რომელიც დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია №2: მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და განახორციელოს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. რეგულარულად აწარმოოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო ღონისძიებები, არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს ხარვეზებით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ყველა ფაქტი, გამოავლინოს გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები იმ პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებმაც დაუშვეს და გაიმეორეს აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევები.

რეკომენდაცია №3: მუნიციპალიტეტის მერიამ ხელშეკრულების პირობები განსაზღვროს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესი. მათ შორის, გამოიყენოს საჯარიმო სანქციების ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების პრევენციას. ამასთანავე, ჩაატაროს გადაუხდელი ჯარიმების ინვენტარიზაცია და გაატაროს შესაბამისი

სამართლებრივი ღონისძიებები კუთვნილი თანხების მისაღებად. მუნიციპალიტეტმა მომავალში არ დაუშვას არაკეთილსინდისიერ მიმწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმება და საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამასთანავე, გამოავლინოს გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები იმ პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებმაც დაუშვეს და გაიმეორეს აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევები. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას და მიმწოდებლების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას.

ხარვეზები ფინანსური რესურსების ხარჯვაში

ნაშთის ცვლილება. 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 828.4 ათასი ლარი. მათ შორის, 2016 წლის ბიუჯეტით დაიგეგმა 771.7 ათასი ლარის გამოყენება. 2016 წელს კლების ნაცვლად მოხდა 1,623.3 ათასი ლარის ნაშთის დაგროვება და წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი – 2,451.7 ათასი ლარი. აღნიშნული ფულადი სახსრებიდან 2,149.0 ათასი ლარი შეადგენს თავისუფალ ნაშთს. მუნიციპალიტეტმა 2017 წლის ბიუჯეტით დაგეგმა 1,912.7 ათასი ლარის გამოყენება. ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების ფაქტობრივმა კლებამ შეადგინა 5.2 ათასი ლარი და წლის ბოლოს ნაშთის სახით დარჩა – 2,446.5 ათასი ლარი. აქედან, 1,412.9 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

2016-2017 წლების ბოლოს ხობის მუნიციპალიტეტს აუთვისებელი დარჩა მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები. აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზებზე. შედეგად, მოსახლეობამ დროულად ვერ ისარგებლა იმ სიკეთით, რაც შესაძლოა მიწოდებულ იქნეს ბიუჯეტში მობილიზებული სახსრების დაგეგმილი და ეფექტიანი გამოყენებით.

საავანსო ანგარიშსწორება. ხობის მუნიციპალიტეტი მიმწოდებლებს ავალდებულებს, რომ კალენდარული წლის ბოლოს წარმოადგინონ 100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორების საბანკო გარანტია დარჩენილ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე. სხვა შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უფლებას იტოვებს ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტოს. გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, მუნიციპალიტეტი ავანსის სახით სრულად გასცემდა დარჩენილ თანხას, ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2016 წლის ბოლოს ხობის მუნიციპალიტეტს წინასწარი ანგარიშსწორების სახით გაცემული ჰქონდა 2,344.8 ათასი ლარი, ხოლო 2017 წლის ბოლოს – 1,285.7 ათასი ლარი.

სრული საავანსო ანგარიშსწორების შემთხვევაში, ხობის მუნიციპალიტეტი წინასწარ ხარჯავდა საბიუჯეტო ასიგნებებს და კარგავდა გარკვეულ ბერკეტს მიმწოდებლებიდან მოსალოდნელი საჯარიმო თანხების მისაღებად. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წლის ბოლოს მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსის გაცემით, მუნიციპალიტეტი ხელოვნურად ზრდიდა ბიუჯეტის და მათ შორის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის შესრულებას. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, თუ რა სარგებელი მიიღო დაფინანსების ასეთი წესიდან.

მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებული 100%-იანი საავანსო ანგარიშსწორების მეთოდი არ შეესაბამება საბიუჯეტო ორგანიზაციის ფუნქციონირების ზოგად პრინციპს, წარმოადგენს საბიუჯეტო თანხების ხარჯვის არაჯანსაღ პრაქტიკას და აუარესებს მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას.

რეკომენდაცია №4: ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტმა საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები მიმართოს პროექტების განსახორციელებლად და საავანსო ანგარიშსწორება გამოიყენოს მხოლოდ დასაბუთებული საჭიროებისას. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას თავისუფალი ნაშთის უკონტროლო დაგროვება და თანხები მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

საქონელი და მომსახურება

შტატგარეშე მოსამსახურეების დაქირავებისას გამოვლენილი კანონშეუსაბამოებები

კრიტერიუმი: „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად⁴⁸, დამხმარე მოსამსახურე არის ტექნიკური მუშაკი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით მიიღება დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე. შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნული ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში ხობის მუნიციპალიტეტმა დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებაში დახარჯა 352.4 ათასი ლარი. აქედან, 2016 წელს - 74.8 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს - 277.6 ათასი⁴⁹. 2016-2017 წლებში შრომითი

⁴⁸ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლები 7,8. 2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

⁴⁹ 2017 წელს დაფინანსება ძირითადად გაიზარდა გამგებლის წარმომადგენლებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების გამო.

ხელშეკრულების საფუძველზე მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა პერიოდში დაიქირავა 5-დან 15-მდე მოსამსახურე⁵⁰.

მუნიციპალიტეტმა შრომითი ხელშეკრულებები გააფორმა და შტატგარეშე მოსამსახურეები 2016-2017 წლებში დაიქირავა შემდეგი ფუნქციების შესასრულებლად:

- საკრებულოს სხდომების ორგანიზება;
- არქივის წარმოება;
- წვევამდელთა გაწვევა;
- მოქალაქეთა მიღების ორგანიზება;
- მშენებლობის საკითხები და სხვ.

მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ შეიცავს დროში განსაზღვრულ დავალებას. ხელშეკრულებები ძირითადად მოქმედებდა მთელი წლის პერიოდისათვის⁵¹ და დაქირავებულის ფუნქცია შტატით განსაზღვრული თანამდებობების ანალოგიურია. კერძოდ, ითვალისწინებდა ისეთ მუდმივ საქმიანობას, რაც მუნიციპალიტეტის ძირითადი საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული წინააღმდეგობაშია შტატგარეშე მოსამსახურის დაქირავების პრინციპთან.

რეკომენდაცია №5: მუნიციპალიტეტმა მიზანშეწონილია გაატაროს ღონისძიებები ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის. ამასთანავე, შრომითი ხელშეკრულებები გააფორმოს მხოლოდ დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად, რაც კონკრეტულად იქნება დადგენილი ხელშეკრულების პირობებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაციას და საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვას.

საკრებულოს წევრებზე დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად⁵², მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების,

⁵⁰ 2017 წლის 1 ივლისამდე პერიოდში.

⁵¹ ან გრძელდებოდა ხელშეკრულებების მოქმედების ვადა.

⁵² ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41.

ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები⁵³.

გამოვლენილი გარემოება: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (არათანამდებობის პირები) ხარჯები 2016-2017 წლებში გაიცემოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №44 დადგენილების საფუძველზე. დადგენილების შესაბამისად, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ზღვრულ ოდენობად განისაზღვრა 350 ლარი. საკრებულოს წევრებს უნაზღაურებოდათ შემდეგი საქმიანობისათვის გაწეული ხარჯები: საკრებულოს სხდომებსა და კომისიების მუშაობაში მონაწილეობა; ამომრჩეველთან ურთიერთობა; საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა; საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (არათანამდებობის პირები), 2016-2017 წლებში, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების სახით, სულ მიღებული აქვთ 164.8 ათასი ლარი, მათ შორის, 2016 წელს – 92.6 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს – 72.2 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. თანხების გაცემის საფუძველია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებები საკრებულოს წევრებისათვის ხარჯის ანაზღაურების შესახებ. თავის მხრივ, საკრებულოს წევრები ხარჯების ასანაზღაურებლად ყოველთვიურ ინფორმაციას წარუდგენდნენ საკრებულოს აპარატის უფროსს, მათი აქტივობების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს ხარჯის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის კრიტერიუმს. გარდა ამისა, ძირითად შემთხვევებში საკრებულოს წევრებზე ყოველთვიურად გაცემულია ფიქსირებული თანხა, ლიმიტის მაქსიმალური ოდენობა - 350 ლარი. ნაკლებად სარწმუნოა,

⁵³ „ინსტრუქცია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 5. დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით.

რომ საკრებულოს წევრებს, რომლებიც წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებს, ზუსტად იდენტური დანახარჯები ჰქონდეთ.

დასკვნა

ხოზის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) 2016-2017 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 164.8 ათასი ლარი გასცა სათანადო დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

რეკომენდაცია №6: მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არათანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ხარვეზები

კრიტერიუმი: 200 ათასი ლარის ან მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება ელექტრონული ტენდერის საშუალებით. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის საშუალებების მონეტარული ზღვრებისათვის თავის არიდების მიზნით⁵⁴.

გამოვლენილი გარემოება: ხოზის მუნიციპალიტეტმა 2017 წელს კლასიფიკატორის კოდით – CPV452 გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის 31 ხელშეკრულება. ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება 6 მლნ ლარზე მეტია. მუნიციპალიტეტისათვის წინასწარ უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომ აღნიშნული კოდით ჩატარებული შესყიდვების ღირებულება წლის განმავლობაში გადააჭარბებდა ელექტრონული ტენდერისათვის დაწესებულ ზღვარს – 200 ათას ლარს. მიუხედავად ამისა, 2 სახელმწიფო შესყიდვა წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, რითაც დაარღვია კანონმდებლობით დადგენილი მონეტარული ზღვარი⁵⁵.

აღნიშნული შესყიდვებისათვის მუნიციპალიტეტს უნდა გამოეყენებინა ელექტრონული ტენდერის საშუალება. ხოზის მუნიციპალიტეტმა 79.3 ათასი ლარის სახელმწიფო

⁵⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“: მუხლი 3, პუნქტი 1, „ჟ“ ქვეპუნქტი, მუხლი 9, პუნქტი 3.

⁵⁵ ხელშეკრულებები №9, 34.

შესყიდვები განახორციელა შესყიდვის არასწორი ფორმით. ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი სავარაუდოდ მიიღებდა მეტ სატენდერო ეკონომიას.

ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ მაინც. ინვენტარიზაციის ერთერთი მიზანია აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან შედარება, ასევე, ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის/დაცვის წესებისა და პირობების, არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმება.

გამოვლენილი გარემოება: ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა⁵⁶. იქედან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტი არ ატარებს ინვენტარიზაციას, არსებობს მაღალი რისკი, რომ ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი არ იყოს ჩაბარებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე. აქტივების შენახვაზე პასუხისმგებელი პირის არარსებობა მიუთითებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი საკუთრებაში არსებული აქტივების მოძრაობაზე. არსებობს რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

წინა აუდიტის დროს გამოვლენილი დარღვევები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წინა წლებში ჩაატარა ხობის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი (01.01.2012-01.01.2014 წლები). აუდიტის ანგარიშებში დაფიქსირდა სხვადასხვა არსებითი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანება. აუდიტის ობიექტმა გაატარა გარკვეული ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია აუდიტის დასკვნებში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ.

ხობის მუნიციპალიტეტმა არ მოახდინა სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რაც აღწერილია აუდიტის ანგარიშში. მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები დასკვნებში

⁵⁶ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ინვენტარიზაცია ვერ ჩატარდა კომპიუტერული ინფორმაციის დაკარგვის გამო.

ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობის, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისა და ქვეყანაში ერთიანი ფინანსური პოლიტიკის ჩამოყალიბების კუთხით.

ხოზის მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო გაეტარებინა საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები აუდიტის ანგარიშებში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორებისათვის და შედეგების მისაღებად, რაც სისრულის თვალსაზრისით, არ განხორციელებულა.

რეკომენდაცია №7: მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოდგინოს ღონისძიებათა გეგმა მუნიციპალიტეტის აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის. გონივრულ ვადაში ასევე წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შესახებ. მუნიციპალიტეტმა გაატაროს სათანადო ღონისძიებები იმ პასუხისმგებელ პირთა მიმართ, რომელთაც ევალუბოდათ აღნიშნულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება და განმეორებით დაუშვეს ან არ გაატარეს საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები აუდიტის წინა ანგარიშებში ასახული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტორთა ხელმოწერა

სახელი, გვარი

ზურაბ ჩაფიჩაძე

(წამყვანი აუდიტორი)

ირაკლი გოგოლიძე

(აუდიტორი)

თეა უდესიანი

(აუდიტორი)

ლალი ამბროლაძე

(აუდიტორი)

თამარ კუხიანიძე

(აუდიტორ-ასისტენტი)

ხელმოწერა

